გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესასვლელს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



ქართული თეატრი

პარასკევს, 20 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

**მეორედ გაყმაწვილება**

დრამა 4 მოქ. გადმოქართულ. თავ. დ. ერისთავის მიერ.

**აჩირებულია!..**

ვოდევილი ერთს მოქ. თარგ. კ. ყიფიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი, საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა, აგიაშვილისა. ბ-ნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი, თამაზიშვილი და სხ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.


ტფილისი, 19 სექტემბერი

ყირიმის ომის შემდეგ ევროპამ მოისურვა, რომ რუსეთს შავს ზღვაზედ სამხედრო ფლოტი არა ჰყავდესო. ევროპის ასეთი გარდაწყვეტილება მუხრუჭივით უჭერდა რუსეთს, რომელიც სცდილობდა, როგორმე თავი დაეხსნა ამ ბორკილისაგან, მაგრამ ვერას ახერხებდა. ბერლინის ხელ-შეკრულობამ ცოტაოდენი შეღავათი მოუტანა რუსეთს? ნება დართეს, თუ გსურს, სამხედრო გემები იქონიე, მაგრამ ბოსფორის სრუტეში ნუ გაიყვანო. ერთის სიტყვით, ხმელთაშუა ზღვა ისევ ისე დაკეტილი და დახშული დარჩა რუსეთისათვის. ამას შემდეგ რუსეთმა გაიჩინა შავს ზღვაზედ სავაჭრო ხომალდები, რომლის შეიარაღებაც ძალიან ადვილია, და ჯერ-ჯერობით ამ გემებს ატარებდა სრუტეში. ხშირად ამ გემებსაც ხიფათი შეემთხვეოდა ხოლმე: ხან რომელს გაბაწრავდა ოსმალეთი, ხან რომელს ბოსფორის სრუტეში იმ მიზეზით, რომ ზედ ჯარებია და სამხედრო მასალაა დამალულიო. რუსეთს არ ესიამოვნებოდა ასეთი საქციელი ოსმალეთისა და თავისის ხომალდების წამდაუწუმ შეჩერება. ამისათვის სცდილობდა, დრო ეხელთა და მოესპო ბერლინის ხელშეკრულობის ის მუხლი, რომელიც დარდანელს შეეხებოდა. ასეთი დრო სწორედ ფრანგების დამეგობრების შემდეგ დაუდგა და კიდეც შეისრულა საწადელი.

რუსეთის გამარჯვებამ ძალიან გააგულისა ინგლისელები და მწარე ღიმილი მოჰგვარა დაჩრდილულს გერმანელებს. ინგლისელებმა დემონსტრაცია-კი მოახდინეს არხიპელაგში, კინაღამ კუნძული სიგრა (მიტილენის გვერდზეა) ხელთ დაიჭირეს. გერმანელები კიდევ ცოდვასა და ბრალს ფრანგებსა სდებდნენ, ისინი არიან, რაც არიან, თორემ რუსეთი ამას ვერ გაჰბედავდაო. ფრანგები მოუსვენარი ხალხიაო, ჰქადაგობენ გერმანიის გაზეთები:—ეხლა რა-კი ზურგი მოიმაგრეს რუსების მეგობრობით, უსათუოდ ომს დაიწყებენ და ევროპას სახათაბალო საქმეს აუტეხენ რასმეო. ერთის სიტყვით, ურჩევენ ევროპის მშვიდობიანობის მოყვარულთ, ფთხილად იყავით, გალლები სანდონი არ არიანო.

გაზეთები ასე იქცეოდნენ და აბა იმპერატორს ვილჰელმს რაღა მოათმენინებდა, რომ სადმე სიტყვა არ წარმოეთქვა და ფრანგებისთვის მათრახები არ გადაეკრა. ერფურტში წარმოთქმულს სიტყვაში, მოიგონა რა წარსული სიამაყე გერმანელებისა განთავისუფლების ომების დროს, ნაპოლეონს დიდს „კორსიკანელი მეტიჩარა“ (parvenu) უწოდა. ფრანგებმა იტკიცეს, ევროპასაც არ იამა ასეთი უხერხულის სიტყვების გაგონება: რაც უნდა იყოს, ნაპოლეონი იმპერატორი იყო და ახალგაზდა იმპერატორს არ შეჰფეროს ამ გვარად ხსენება განსვენებულის გვირგვინოსანისაო, ამბობდნენ გაზეთები.

ფრანგებს და მის მთავრობასაც ეწყინათ ასეთი გამოლაშქრება ვილჰელმისა; იმასაც კარგად მიხვდნენ, რომ იმპერატორმა ყოველივე ეს წარმოსთქვა გულის მოსაფხანად და რომ უფრო ძალიან გააჯავრონ და დაანახვონ, შენს სიტყვას დიდს ყურადღებას არ ვაქცევთო, მოინდომეს პარიჟში ვაგნერის ოპერის „ლოენგრინის“ წარმოდგენა. დიდი ხანია მთავრობას სურდა ამ ოპერის წარმოდგენა, მაგრამ ვერ ახერხებდა, პატრიოტები თავს იკლავდნენ, გერმანულს მუსიკას ნუ გააგონებთ ჩვენს ყურსაო, თორემ თეატრს, საცა-კი წარმოდგენა იქნება, სულ ერთიან დავანგრევთო. მთავრობამ თავისი გაიტანა, „ლოენგრინი“ წარმოადგინეს სახელმწიფო თეატრში, მაგრამ ისეთი მღელვარება და არეულ-დარეულება იყო თეატრის ახლო-მახლო ქუჩებში, რომ იძულებული შეიქმნენ თეატრისთვის ჯარი შემოერტყათ. გაბრაზებული პარიჟელები (20,000 მეტნი იყვნენ), თეატრს რომ ვერა დააკლეს-რა, გაიფანტნენ ქუჩებში, გერმანელების ლუდხანები დაამტვრიეს, გერმანელების საელჩოსაც ემუქრებოდნენ, მაგრამ პოლიციელები შემოახვიეს შენობას და ვეღარა ავნეს-რა. მართალია, მთავრობამ გაიმარჯვა, თავისი გაიტანა და ქუჩის მყვირალაებს არ დაემორჩილა, მაგრამ ეს დემონსტრაცია ცხადად ამტკიცებს, სადამდის მივიდა ამ ორის განათლებულის ერის მძულვარება.

არც გერმანელები სხედან გულხელ-დაკრეფილები. 23 ენკენისთვეს შესრულდება ასი წელიწადი გმირი-პოეტის კერნერის დაბადებისა. კერნერი მოკვდა, როგორც გმირი 1813 წელს, როცა გერმანელები თავ-განწირულად იბრძოდნენ სამშობლოს გასანთავისუფლებლად ნაპოლეონის ბატონობისაგან. კერნერი თავისის ლექსებით სისხლს უდუღებდა ახალგაზდობას და იწვევდა ყველას მტერთან საბრძოლველად.

აი სწორედ ასეთის კაცის დღის დაბადება ამოირჩიეს გერმანელებმა, რომ ფრანგებს სამაგიერო მიუწყონ. ყველგან დაარსეს კომიტეტები საერო დღესასწაულის გასამართავად; თეატრები, სამხედრო და პატრიოტული ფერეინები აპირებენ დღესასწაულის დროს შეაქონ და შეამკონ ის მეტის-მეტი აღტაცება გერმანელებისა, ის ენტუზიაზმი, რომელიც გამოიწვია ნაპოლეონის საწინააღმდეგოდ ატეხილმა ბრძოლამ. ფერეინების მოქმედებას დიდს ყურადღებას აქცევენ თვით თ. ბისმარკიც და იმპერატორიც.

თქმა არ უნდა, რომ ამ დღესასწაულების დროს გერმანიაში მოხდება დემონსტრაციები ფრანგების წინააღმდეგ და შეიძლება რუსებსაც გადაჰკრან.

აი სწორედ ყველა ამ ნიშანმა გვათქმევინა, რომ ღრუბლები არია და საპოლიტიკო ცა დიდს მშვიდობას არ უქადის ევროპასაო.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 19, პოლიციამ ჩვენების ჩამორთმევა გაათავა საპერის ქუჩაზე, ტერ-სტეფანოვის სახლში მცხოვრებელის, 20 წლის ოლგა თეოდორეს ასულის დუდკინას მოკვლის შესახებ, და სასამართლოს გამომძიებელს გადასცა. როგორც ჩვენებიდგან სჩანს, ეს საზიზღარი კაცის კვლა ამ გვარად მომხდარა: დუდკინა ცუდის ყოფაქცევის ქალი ყოფილა და მრავალ ჯერ

# ფელეტონი

### ხალხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი სოფელს კარალეთში ვასო ბიბილაშვილის-მიერ).

გოგოვ, წითელი პერანგი
ჩაუცმევია დედასა;
დაგვიწყებია სიცილი,
მოუკლავ გულის სევდასა.

—

რას იქს, თუ ვაჟკაცს შეხვდება
უბედურობის წილია!...
ორივ მტრათ გადაექცევა
ძმა ჰყამ, თუ ბიძაშვილია!

—

შენ, გურგენ, ბერი ძაღლი ხარ,
ხე-ტყე ნავალი ჩდილისა;
არ შეგხვედრია ჯერ ძაღლი
კარგისა მონადირისა!...

—

ვაჟკაცსა ცოლი რათ უნდა,
რა ომში გამოადგება?
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა,
გამოვა გარედ დადგება,
რამდენი ბიჭიც შეხედამს,
იმდენი კოწიაწდება!...

—

შენი ქმარი ჩემსა ქმარსა
დავჭიდოთ მოედანზედა,
რომლისაც ქმარი წაიქცეს,
ლაფი დავსხათ თავზედა.

—

ნეტავ არ გავჩენილიყავ,
არცარა თავი ამელო,
არც შენი სახე მენახა,
არც ხმალი ხელში ამელო.

—

მინდა წავიდე ჭედლებში,
გავაწკეპინო ცულია;
ლამაზო, შენი ცქერითა,
ლამის ამამძვრეს სულია.

—

გემში ჩაველ და ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო;
ანთებულ სანთელს გამგზავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახეო;
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
კარგათ ვერ დაგინახეო.

—

ქალმა დაუდო ურემი,
ზედ გაუარა ბერაო;
შეუხტა ურმის თავზედა,
ხმა წვრილით დაიმღერაო.

—

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი ალაგზე გოგდება,
ქალო, ქმარი არ გივარგა,
დახაშმულია, მოკვდება.

—

აი ლალები, ლალები,
შავარდენს გიგამს თვალები
კაი ლექსები გამოთქვი,
შენ სიყმეს ვენაცვალები!

—

ნიკორასა და ლომასა
მოვაგლეჯინებ გორასა.

—

ამოქროლდი, ზენა-ქარო,
უნდა ხვავი ვახარხარო;
გამოვაცხო თბილი პური
და ბავშვები გავახარო.

—

უსამართლობით არ ისხამს
ეს კარალული კაკლები;
იასაული არ მოვა
თორმეტ-ცამეტზედ ნაკლები.

—

მუშა უნდა მუშაობდეს,
ქარავანი ქარავნობდეს,
ეგ შენისთანა ბიჭები
ომში უნდა ფალავნობდეს.

—

კამბეჩმა ზაქი მოიგო,
ურქო, უკუდო, უყურო,
ის რომ გუთანში შეაბა,
უნდა დაჯდე და უყურო.

—

როსტომ სთქვა: მიწა გრილია,
სიტყვას არ უნდა რბილობა,
თუ კაცი თვითონ არ არი,
ცუდია გვარიშვილობა,
როცა კაც გაუჭირდება
გარჯა უნდა და ცდილობა.

—

ბატონო, თუმანიშვილო,
გარდილო მეფის კარზედა,
ვინ მოგცა მებალახობა
იმ ზემო ქართლის მთაზედა?

—

ასი ოსმალოს მომკვლელი
უომობასა ჩიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

—

გადამხდა გადასავალი,
ლეკებმა დამიჭირესა;
გამხადეს ტანისამოსი,
ზედ ცხენზე დაიფინესა;
წამომკრეს თოფის ჯიგლიგი,
ცხვირ სისხლი წამადინესა.

—

სულ ასრე ვილაპარაკებ,
არ დავაყენებ ყბებსაო:
ჯერ მეძახიან სულელსა,
მერე ჰკუაზე თხელსაო.

### ამპარტავანი გიორგი

(ლეგენდა გარშინისა)

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 199)

მეორე დღეს დღესასწაული იყო. სახლის პატრონი თავისის ცოლით ეკკლესიაში წასასვლელად მოემზადა. დიასახლისი უეცრად მოირთო და გა-

ათენებდა თურმე ღამეს სხვა-და-სხვა ბაღსა და სასტუმროში და დროს ატარებდა სმასა და ქეიფში. ამის გამო ბევრი ნაცნობიც ჰყოლია. შაბათს დუდკინა ვიღაცა სამს სომეხს „ერმიტაჟ“-ის სასტუმროში მიუწვევია და კვირა დილამდე იქ დარჩენილა. შემდეგ სახლში მთვრალი დაბრუნებულა და დაუძინია. ზემოხსენებულ სომეხთ კიდევ მიუწვევიათ იმავე სასტუმროში, მაგრამ იგი არ წასულა. კვირა ღამეს დუდკინასთან ვიღაც ჯავახოვი ყოფილა, რომელსაც იქვე დაუძინია და ორშაბათს დილით წასულა. ორშაბათს შუაღამისას ვიღასაც დაუკაკუნებია ქუჩის კარი, რომელიც მოსამსახურე დედაკაცს ბიშუნოვს გაუღია. მეზობლებს გაუგიათ, რომ ამ უცხო კაცს წყრომით უთქვამს დედაკაცისთვის: „რადა ჰკეტავდი კარსაო?“ ამას შემდეგ ამ ეზოში შესულა ამ სახლის მდგმური ბ-ნი ფინკი და შესვლისთანავე ქუჩის კარი მიუკეტნია. ფინკის ყური მოუკრავს, რომ ვიღაცა ეზოდამ გასულა. თურმე დუდკინას მკვლელი ყოფილა. ღამის ორს საათზე ბიშუნოვისას ყვირილი მოურთავს, კაცი მოჰკლეს და მიშველეთო. მაშინვე პოლიცია მოსულა და ოთხს ალაგას დაჭრილი დუდკინა ქსენონში გაუგზავნია. რადგან დუდკინას ოქრო-ვერცხლეული და ფული არ დაკარგულა, აქედგან ცხადად სჩანს, რომ დუდკინა შურით მოუკლავთ და არა გაძარცვის აზრით. ამასთანავე ბიშუნოვის სადგომში იპოვნეს სუფრა, ღვინოში დასვრილი და სისხლმოცხებული. თუმცა ბიშუნოვისა ამბობს, რომ მე არ ვიცნობ დუდკინას მკვლელს და არც მინახავსო, მაგრამ სასამართლოს გამომძიებელმა გუშინ ციხეში დააპატიმრა.

*** ამ ორის წლის წინად ქალაქმა რომ დედათა სამკურნალო გამართა ავლაბარში, ეხლა შეკეთებას ჰსაჭიროებს თურმე. მკურნალ ისტამანოვის თხოვნით დაუთვალიერებიათ ეს სამკურნალო და აღმოჩენილა, რომ შეკეთებას 1800 მანათი დასჭირდებაო.

*** „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მოუვიდა სოფ. წრომიდამ იქაურ ეკკლესიის ახლო-მახლო მინდვრებში ნაპოვნი ძველი პატარა ხატი ღვთისმშობლისა. ხატი ბრინჯაოსია, მინანქრით არის ნაკეთები და, როგორც ეტყობა, გულზე სატარებელი ყოფილა.

*** სამკურნალო გამგეობამ კავკასიის სამოქალაქო უწყებისამ განკარგულება მოახდინა, რომ, რაკი ტფილისში ყვავილი გავრცელდა, საბებიო ისტიტუტში უსასყიდლოდ აუცრან ხოლმე ყვავილიო.

ყვავილს უცრის ერთი საბებიო ინსტინტუტის მკურნალთაგანი კვირაში სამჯერ—ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით, დილის 10—11 საათზე.

*** ბ-ნს ვ. გუნიას, რომელიც აგერ მეხუთე წელიწადია, ჰბეჭდავს საქართველოს ვრცელს კალენდარს, წელს ერთი კარგი ცვლილება შემოუღია. ამას იქით იმისს კალენდარში მოთავსებული იქნება სურათები ჩვენის სხვა-და-სხვა მოღვაწისა. სამერმისო კალენდარში, მაგალითად, რომელიც წელს იბეჭდება და მალე დამზადდება კიდეც გასასყიდად, ბ-ნს გამომცემელს ჩაურთავს სურათები: თამარ-მეფისა, დიმ. ყიფიანისა, მიხეილ ზ. ყიფიანისა. დავით ერისთავისა, მამია გურიელისა, ვახტანგ ორბელიანისა, ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა.

*** პირველი ზაფხულის შემდეგ კრება ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრებისა ორშაბათს, ამ თთვის 23-საა დანიშნული სასოვდაგარო გამგეობაში.

*** ამ თთვის 18 ტფილისიდამ ბაქოში გაგზავნეს 150 ვაგონი ხორბალი, სიმინდი და ქერი, რომელიც იქიდგან სამარას გუბერნიაში გაიგზავნება.

*** ტფილისის „სობრანიაში“ ოქტომბრის 8 გამართავენ ბალს და შემოსავალს გაგზავნიან რუსეთის იმ გუბერნიებში, რომელშიაც ამ წელს პური არ მოსვლიათ. ამას გარდა, „სობრანიის“ მოსამსახურეებმა გამოაცხადეს სურვილი, რომ ორი პროცენტი თავიანთის ჯამაგირისა ყოველ თვე მომავალის წლის ოქტომბრის პირველამდე უგზავნონ დასახელებულ გუბერნიების გლეხებს.

*** სოფ. მეტეხშიაც, საცა მშვენიერი ძველებური ტაძარია, დრო—ჟამისაგან ცოტაოდნად დაზარალებული, განუზრახავთ მისი განახლება. ამ აზრით კომიტეტი უკვე შემდგარა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავსმჯდომარეობით: კომიტეტი, საქართველოს ეგზარხოსის ნება-დართვითა და კურთხევით, უკვე შესდგომია შეწირულებათა მოგროვებას ტაძრის განსაახლებლად. ამ დღეებშიც ტფილისშიაც მიიღეს სხვა-და-სხვა დაწესებულებათ წერილები კომიტეტისა, რომელიც სთხოვს ყველას, შეძლებისა დაგვარად დაეხმარონ ამ კეთილს საქმეს.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): საციციანოს ერთ-ერთს სოფელში, სახელდობრ, ბაატეოში, სადაც ოსები სცხოვრობენ, მოხდა შემდეგი უბედურება: ერთს ოსის გასათხოვარს ქალს შეუყვარდა თავისი მეზობელი ყმაწვილი კაცი, გვარტომით ისევ ოსი. ყმაწვილმა კაცმა და ქალმა ერთმანეთს პირობა მისცეს ცოლქმრობისა და ჯვარის დაწერაც გადასწყვიტეს. როცა ეს ამბავი ქალის დედ-მამამ შეიტყო, დიდს უარზე დადგნენ, ჩვენს ქალს იმ კაცს არ მივცემთო. ქალმა სხვა არავინ იდომა ქმრად. ყმაწვილმა კაცმა ინახულა დაფარვით და საიდუმლოდ თავისი სატრფო და გამოუცხადა, რომ შენმა მშობლებმა დიდი შეურაცხყოფა მომაყენეს თავიანთის უარით და თუ არ გამომყვები, მე სხვას შევირთავო. ქალმა ეს სიტყვები იწყინა, წაართვა უეცრად ყმაწვილს დამბაჩა და თავი მოიკლა. მშობლებმა ბევრი იცეს მერე თავში, მაგრამ ველარა უშველესრა თავიანთს ასულს.

*** სოფ. დირბი (გორის მაზრა): წელს ჩვენში ვენახებს რიგიანად ასხია და ღვინის მოსავალს კარგს მოელიან. სთველს დაიწყებენ ენკენისთვის დამლევს. საცა-კი ვენახებია აქეთკენ, ყველგან ძრიელ ემადლიერებიან წლევანდელს მათს სხმას. სოფელს ბრეთშიაც, მაგალითად, წელს ისე კარგად ასხია ვენახებს, რომ ერთი-ხუთად და ერთი-ათად მეტი გამოსავალი ექნება, ვიდრე შარშან და შარშან-წინა ჰქონდაო.

*** სოფ. დაბლა საქარა. (შორაპნის მაზრა) წარსულ აგვისტოს 28-ს ქ. ქუთაისიდგან მობრძანდა სიმონეთის საბლაღოჩინო მაზრაში სარევიზიოდ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. პირველად მისი მეუფება მიბრძანდა ზედა-საქარის მაცხოვრის ეკკლესიაში, 29 აგვისტოს, სადაც დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ნაწირვებს მისმა მეუფებამ ჩვეულებისამებრ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და ეკკლესის გალავანში შეგირდები გამოსცადა იქაურ სამრევლო სასწავლებლისა. იმავე დღეს, საღამოს ოთხს საათზედ, მისი მეუფება მობრძანდა ჩვენს სოფ. დაბლა-საქარაში. აქაც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, რათა მიეღოთ ლოცვა-კურთხევა მწყემსთ-მთავრისა. ეკკლესიაში შებრძანების შემდეგ, მისი მეუფება შედგა ამაღლებულს ადგილას და თითქმის ორის საათის განმავალობაში ასწავლიდა ხალხს ღვთის სიტყვას. საღამოზედ წაბრძანდა ადგილობრივს სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელში, სადაც ორმოცდა-ათი შეგირდი მოუთმენლად ელოდდა მათს მეუფებას. იმ ღამეს მისმა მეუფებამ ღამე იქვე გაატარა დ მეორე დღეს შეგირდები გამოსცადა. შემდგომ შეგირდებს ყველას დაურიგა ჯვარი, ხოლო უკეთესებს-კი წიგნები. აქედგან მისი მეუფება წაბრძანდა სხვა ეკკლესიების დასათვალიერებლად. კვირას, პირველს ენკენისთვეს, მისი მეუფება მწირველი ბრძანდებოდა სოფ. ალისუბნის ეკკლესიაში და იქვე აკურთხა ახლად აღშენებული ბ-ნის. ნ. ჩიკვაიძის მიერ თვისის საკუთარის ხარჯით საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელი „ელისაბედ-ნიკოლოოზის“ სახელით (ელისაბედი ბ-ის ნ. ჩიკვაიძის განსვენებულის მეუღლეს ერქვა, ხოლო თვით ნიკოლოზი ჰქვიან). სასწავლებელი ქვითკირით არის აღშენებული და კრამინტით აქვს გადახურული. აქედგან მისი მეუფება წაბრძანდა, სხვათა შორის, სოფელ თერჯოლის და ჭაბუკ-მთის წმიდის გიორგის ეკკლესიაში. ეკკლესიაში შებრძანების დროს სამრევლო სასწავლებლის შეგირდებმა მშვენიერად იგალობეს ქართულად „ღირს არს ჭეშმარიტად“, ადგილობრივ ეკკლესიის მთავარ დიაკონის სიმონ კვირიკაძის ლოტბარობით, რომელიც გალობას ასწავლის იმავე სასწავლებელში. ორჯელ თუ სამჯერ შეგირდებმა მშვენიერად იგალობეს მთელი წირვის წესი. ქადაგების წამოთქმის შემდეგ მისმა მეუფებამ გამოსცადა შეგირდები და ჯვრები დაურიგა. იქიდგან მისი მეუფება წარბძანდა კიდევ სხვა ეკკლესიებში და თუმც ძლიერ ცუდი ამინდები დაუდგა, მაგრამ მაინც სულ შემოიარა მთელი სიმონეთის საბლაღოჩინო მაზრა და პარასკევს, ექვსს ენკენისთვეს, ს. ნაგარევიდგან ქ. ქუთაისშივე დაბრუნდა.

*** როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტმა გადასწყვიტა, კვლავ მიეღოთ ის ყმაწვილები, რომელნიც ზაფხულში ბ-მა ხარკოვმა, დირექტორმა სასწავლებლისამ, სრულიად დაითხოვა.

ეხლა, როგორო გაზ. „Н. Об.“ იუწყება, ბ-ნს ხარკოვს თხოვნა შეუტანია, ნუ მივიღებთ ამ მისაღებთაგან იმათ, ვინც წლოვანობით 16 წლისას აღემატებაო და ამ თავისს თხოვნას იმით ასაბუთებს თურმე, რომ დიდწლოვანები ქუჩაში სიარულით გარყვნილები არიან და სხვა ყმაწვილებსაც გაგვირყვნიანო. ბ-ნ ხარკოვის თხოვნას ამ მოკლე ხანში განიხილავს სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტი.

*** 18 სექტემბერს პოლიციის პირველს ნაწილში იპოვნეს ხუთის დღის დაბადებული მიგდებული ტყუპი ბავშვი, ერთი ვაჟი და ერთი ქალი. ბავშვები საბებიო ინსტიტუში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს კოჯორის ქუჩაზე იპოვნეს შვიდის დღის დაბადებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუში გაჰგზავნეს.

---

ვიდა ქუჩაში. ქმარი-კი რაღაც საქმისთვის იგვიანებდა.

— წამოდი, კაცო, ჩქარაო, დაუძახა დიასახლისმა: თორემ ბატონი გიორგი ეკკლესიაში შეგვასწრებს და ველარ დავინახავთ.

— ვინ არის ეგ ბატონი გიორგი? ჰკითხა გიორგიმ დიასახლისს.

— შენ აქაური არა ხარ, გეტყობა, და იმიტომ ვერ იცნობ იმას. გიორგი ბატონია, თორმეტი წელიწადია ჰმართავს ჩვენს მხარეს და მეტის მეტი სასტიკი კაცია. გუშინ ქუჩაზედ ეტლით მოდიოდა და შიშით კინაღამ ძირს არ დავეცი, რომ დავინახე.

სახლის პატრონი დიასახლისითურთ ეკკლესიაში წავიდა, გიორგი-კი გაშტერებული დარჩა შინ და არა იცოდა, რა ექნა, „რაც მომივა, მომივა! ამაზედ ცუდი რაღა დამემართება?! თუნდა სიკვდილითაც დამსაჯონ, მაინც გამოვაშკარავებ იმ ბოროტმოქმედებასაო!“ თქვა იმან, წავიდა ამ განზრახვით ეკკლესიაში და გაჩერდა შესავალს კარებთან, სადაც მრავალი ხალხი იდგა და სადაც უნდა გაევლო ბატონს მმართველს.

აგერ გამოჩნდა შეიარაღებული მხედრები, ჩვეულებისამებრ შუაში ჩამდგარი იყო მმართველი და მისი ცოლი, ოქროს ქსოვილი ტანისამოსით შემოსილნი, და გარშემო სხვა-და-სხვა წარჩინებულნი მოუძღოდნენ. შეაჩერდა გიორგი მმართველს თვალგაუტეხლად, დააკვირდა გონების თვალით იმისს პირისახეს და შეკრთა: ღმერთმა აუხილა თვალები და იცნო, რომ ეს მმართველი კაცად ქცეული უფლის ანგელოსი იყო. შეშინებული გიორგი გაიქცა ქალაქიდგან. ბევრ სირბილის შემდეგ შევიდა ერთს დაბურულს ტყეში დ დაღლილი ერთის ხის ქვეშ დაეცა. დიდხანს იწვა ღონემიხდილი და გონება-გაბრუებული. შუაღამის ხანს გამოეღვიძა დ გაშტერდა. აღარ ახსოვდა ის, რაც სამს დღეში გარდაჰხდენოდა; არ იცოდა, თუ ვარსკვლავები ზეციდგან რად დასცქეროდა და ან ხის ფოთლები რად ირხეოდა ნიავის გამო. არც ის იცოდა გიორგიმ, თუ აქ, ამ დაბურულს ტყეში, ცალიერს მიწაზედ რად იწვა და რატომ თავისს დარბაზში ბუმბულის რბილს ქვეშაგებზედ არ იყო მოსვენებული?! მაგრამ თანდათან გონება დაუბრუნდა, მეხსიერებამ დავიწყების ნისლი გადიყარა და გაიხსენა გიორგიმ დაწვრილებით თავისი თავ-გადასავალი, გაიხსენა და თვალთაგან მწარე ცრემლები უხვად გადმოაბნია. მოიგონა მთელი თავისი წარსული ცხოვრება, ცოდვებით სავსე, უსამართლობით დაბნელებული, მოიგონა და მიხვდა, რომ ღმერთმა დასაჯა ცოდვილის ცხოვრებისთვის. „გავარისხე უფალიო, სთქვა გულ-ამოსკვნით: ჩემის ცუდის ცხოვრებით და ვინ იცის, შემიწყალებს და შემინდობს-ღა როდისმე ცოდვებსაო!“. დიდხანს იწვა გულხელ-დაკრეფილი ხის ქვეშ, ცას შესჩერებოდა, ცრემლებს აბნევდა და უფალს ცოდვების პატიებასა სთხოვდა. უფალმა ანუგეშა მისი აღელვებული სული, დამშვიდდა, ადგა, წავიდა ქალაქში და დაიწყო ცხოვრება უბრალო ღარიბს ხალხში, რომელიც სულითა და გულით შეუყვარდა.

გავიდა ერთი წელი, გადის მეორე. გიორგის ცოლი დარწმუნებულია, რომ დარბაზში ჩემი ნამდვილი ქმარი სცხოვრებსო; მაგრამ ის-კი უკვირს, რომ იმისი ქმარი სასტიკი აღარ არის უწინდებურად და კეთილს საქმეებს ეტანება. აღარავისა სჯის სიკვდილით, სანადიროდ აღარ დადის და ეკკლესიაში ჰლოცულობს, ცოდვილს და მართალს არჩევს, მტრებს ერთმანეთში არიგებს, ღარიბი და გაჭირვებული ებრალება და სხვ. უკვირს ცოლს, რომ ქმარი ხშირად არ ინახულებს და როცა ჰნახავს, ტკბილს სიტყვას ეტყვის, ძმურად მიუალერსებს, მერე შევა თავისს ოთახში, ჩაჰკეტავს კარებს და ზის იქ მარტოდმარტო. ერთხელ ჰკითხა:

ბატონო, მითხარი, რა გაწყენინე, რომ ასე გულ-ცივად მეპყრობი?! ვგონებ შენთვის არა დამიშავებია-რა და ეს მეორე წელიწადი-კია, რაც მერიდები. რა გაწყენინე, მითხარი, რომ შენს წინაშე მოვინანო ჩემი შეცოდება.

ანგელოსმა შეჰხედა, წყნარად გაიღიმა და უთხრა:

— შენ ჩემთვის არა გიწყენინებიარა, საყვარელო მეუღლევ, მაგრამ მე აღთქმა მიეცი ღმერთს, რომ სამის წლის განმავლობაში შენთან საქმე არ ვიქონიო. აი მესამე წელიწადიც მალე გაივლის და ისევ ძველებურად იცხოვრებ შენს ქმართან. სთქვა და თავისს ოთახში შევიდა. ცოლმა საშინლად ამოიოხრა და ორი ობოლი ცრემლი გადმოაგდო თვალთაგან.

ასე სცხოვრობდნენ სამის წლის განმავლობაში. მესამე წლის გასვლას ერთი კვირა აკლდა, რომ მმართველმა ბრძანა შეკრება მისს საბრძანებელში მცხოვრებ გლახაკებისა, ყველას დიდი პატივი და უხვად დასაჩუქრება აღუთქვა. მალე გაისმა ეს ხმა მთელს საბრძანებელში და გლახაკების გულს სიხარული მოჰფინა. დიდ-ძალი გლახაკი მოაწყდა მმართველის დარბაზსა. არავინ იცოდა აქამდის, თუ ამდენი გლახაკი სცხოვრებდა გიორგის საბრძანებელში. მთელი ქალაქის ქუჩები გლახაკებით სავსე იყო. მოგროვდნენ: კოჭლები, კუტები, უხელონი, ბრმები, გიჟები და სხვანი, დიდი და პატარა. მმართველი გავიდა ეკკლესიაში და გლახაკებმაც იქ მოიყარეს თავი. ზოგი მათგანი ეკკლესიაში შევიდა და ზოგი-კი ეკკლესიის გალავანში დადგა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ფარცანაყანევი.** ფარცანაყანევი ამიერ კავკასიის რკინის გზის ორს სადგურს შუაა გადაჭიმული. რვაას კომლამდე მცხოვრები გლეხი ითვლება ამ სოფელში და ხუთ მრევლად არის დაყოფილი. ხუთში მარტო ერთს მრევლსა აქვს სრულის ეკლარის ქვისა და მშვენიერის ნიგვზის ხის კანკელიანი ეკკლესია. ოცდა-ხუთის წლის განმავლობაში ეკკლესიის ასაშენებლად ადგილის ამორჩევისა გამო ერთმანეთთან შეჯიბრებული და დასდასად დაყოფილი მრევლი ამ ორის წლის წინად მოარიგა და ერთობა ჩამოაგდო სემინარიელმა მღვდელმა მამა ფილიპე ფხაკაძემ. მამა ფილიპემ ითავა, იმეცადინა და ერთის წლის განმავლობაში თერთმეტი ათასი მანათი გამოაღებინა ორასიოდე კომლს გლეხსა შეძლების კვალობაზე და ააშენა ზემოხსენებული მშვენიერი ქვის ეკკლესია. რასაკვირველია, ძალიან ძნელი იყო მრევლისთვის ამოდენის ფულის გაღება, მაგრამ ხალხი მაინც დიდად მადლობელი დარჩა ფილიპე მღვდლისა: „კაი საქმე გვიყო, ააშენა და აცოცხლა ღმერთმაო", ამბობენ. მამა ფილიპემვე ოთხს წლის წინად თავისის ხარჯით ააშენა სახლი სამრევლო სკოლისათვის და დაიქირავა ხეირიანი მასწავლებელიც. თავისს მრევლს ნამდვილი მოძღვრული სამსახური გაუწია პატივცემულმა მამა ფილიპემ, რომელსაც მთელი სოფელი დიდის ნდობით ეკიდება. ახლა აქაური დედაკაციცა და მამა-კაციც დიდს შრომაში არიან, მთელი დღე მოსვენება არა აქვთ, ხან-და-ხან დღე და ღამეს აერთებენ. ათში ერთი მოსახლე-კი გამოერევა ისეთი, რომ ფულის სარგებლითა და მიწით იცხოვროს, მაგრამ ამისთანანი, შრომას დაჩვეულნი, სხვაზე უფრო მეტს გარჯაში არიან, ათში ორი და სამი კომლი თუ იქნება ისეთი, რომელსაც ეზოს გარეშე კაცის სულზე საკუთარი ქცევაზე მეტი მდგილი არა აქვს. უადგილობის გამო ზოგი ქუთაისს შეესახლა, ზოგმაც ხელობას მოჰკიდა ხელი, მაგრამ ადგილის სივიწროვე მაინც დიდია. გამრავლდა ხალხი: 15 მანათად რომ ადგილი იყიდებოდა, დღეს ხუთი და ექვსი თუმანი ღირს; სამესამედოდ რომ ათის წლის წინად დიდის ხვეწნითაც არ იღებდნენ ადგილს სამუშაოდ, დღეს სანახევროდ პირიქით იხვეწებიან.

აქაურებს მიწის შეძენის საჭიროება შეგნებული აქვთ, მიმხვდარნი არიან, რომ უმიწაწყალო კაცი არ ვარგაო. ამათ ყველას დაასწრეს ქუთაისის გუბერნიაში სანადელო მიწების მებატონეებისაგან შესყიდვა.

უშველებელი მამული თ. მაჩაბელისა ახლა ბანკს დარჩა და ბანკის მმართველობას, ჩვენდა სასიხარულოდ, ჰსურს, ადგილები სოფელს დაარჩინოს, გლეხებს მიჰყიდოს. სოფელიც სულითა და გულით მონდომილია ამ მამულების ყიდვას. წასრულის თთვის პირველს რიცხვებში გლეხებს კიდეც ჰქონდათ მოლაპარაკება და ხელის მოწერა გამართეს. პირველს დღესვე ორას ქცევაზე მოაწერეს ხელი და ზოგმა განაცხადა, თუ დარჩება ადგილი და სოფელი დაგვითმობს საყიდლად, ოც-ოცს ქცევას კიდევ ავიღებთო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს კეთილი და სასარგებლო საქმე დროზე შესრულებულიყოს. მთიულები, თუშები ახერხებენ ამისთანა საქმეებსა და შეძლებულს სოფელს არ გაუჭირდება, თუ მოთავეებმა უერდგულეს და არ დაიხიეს უკან. ოღონდ-კი სოფელმა თავი მოიყაროს და იყიდოს ეს მამული, თორემ მოცილეობას ვერავინ ვერ გაუწევს.

აგერ ოცდაოთხი წელიწადია მას აქეთ, რაც მამასახლისობა შემოიღეს. ამ ხნის განმავლობაში ექვსი კაცი იყო მამასახლისად დაყენებული ფარცანაყანებში და იმათში ყველაზე უფრო კეთილი და ღვთისნიერი კაცი იყო პირველი მამასახლისი, სიმონ კილაძეო, ამბობს სოფელი, და შენდობას უთვლის. ხოლო უკანასკნელს მამასახლისს, რომელსაც ახლა გაუთავდა მეორე ვადა, ბევრი კაცი ემდურის.

მართალი, კეთილ სინდისიანი კაცი არა დგება მამასახლისად, ხოლო ვინც ხარჯს ეწევა მამასახლისობისთვის, ისკი არ ვარგა. ჩვენის აზრით, საჭიროა, სოფელმა ჯამაგირი დაუნიშნოს მამასახლისს, თუნდა უსწავლელი კაცი იყოს. რა ქნას კაცმა, სოფლის გულისათვის თავის ოჯახს ხომ ვერ ამოაგდებს და დაამხობს, სამი წელიწადი-კი არა, სამი დღე რომ ხელი შეუშვა ოჯახს, ორს თვეს ველარ გამოაბრუნებ საქმეს. მამასახლისს ჯამაგირი რო დაენიშნება, თავის მაგიერ კაცს ჩააყენებს სამუშაოდ და მექრთამეობას აღარ მიჰყოფს ხელს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ უაზრო ცხოვრებაში სწორედ ათვხიზღებს კაცს, როცა ორიოდე გონების განმაცხოველებელს აზრს შეჰხვდება. აი რამდენიმე ამისთანა აზრი ფრიდრიხ ნიცშესი, ბაზელის უნივერსიტეტის პროფესორისა, რომელიც მე-80 წლებში შეიშალა ჭკუიდგან და რომლის აზრებიც გაზ. „Новости"-ს უკანასკნელს ნომერშია დაბეჭდილი.

მადლობა იგივე შურის მიებაა, მხოლოდ კეთილშობილი შურისძიება-კი.

ვერვი მწერალი მარტო თავისის საკუთარის ჭკუით-კი არა, თავისის მეგობრების ჭკუითაც სარგებლობს.

საზოგადოებაში ბაასი და მასლაათი ისეა წარმართული, რომ სამი მეოთხედი ყველა სიტყვისა სხვის საწყენად არის ნათქვამი. კიდეც ამიტომ უყვარს ბევრს საზოგადოებაში ყოფნა: აქ მაშინ იგრძნობენ ხოლმე თავისს ძალასა და ღონეს.

სიყვარული სამართლიანობაზედ სულელია და, სახელდობრ, კიდეც ამიტომ არის ყველასათვის სასიამოვნო. სიყვარული უგუნურია და მოულოდნელი და თავისს მადლს უხვად აწვდის ყველას, აგ-გვარის განურჩევლად. იგი მიუკერძოებელია წვიმასავით, რომლისაგანაც კეთილსაც ისევე შეუძლიან დასველდ-დაწუწება, როგორც ბოროტს.

იქნები ფრიად დიდი ბოროტებაა, იმიტომ რომ, საჭიროც რომ არ იყოს, ადამიანის ტანჯვა-წამების დასასრულს გააახანგრძლივებს ხოლმე.

ვისაც ბიწიერების სიამოვნება გამოუცდია, მაგალითებრ, იმ კაცს რომელსაც ბევრი უცხოვრია და სიამოვნება გატაცებით გაუტარებია, თავისდა უნებურად ჰგონია, რომ სათნოებას უეჭველად თან უსიამოვნებანი და ნაკლებულებაც სდევსო. პირ-იქით, ის-კი, ვინც ბიწიერებასა და ვნებას საკმაოდ მოუღალავს და უწვებია, სათნოებაში ეძებს თავისის მოქანცულის სულის მოსვენებას და ბედნიერებას. ამიტომაც სრულად შეუძლებელია მოსდეს, რომ ორს სათნო ადამიანს ერთმანეთის გრძნობისა არა ესმოდეს-რა.

ადამიანს ავისა და ჭუჭყიანის ფიქრისა არა რცხვენიან. ხოლო როცა ჰგონია, სხვასაც ეჭვი აქვს აღებული, რომ ავი და ჭუჭყიანი ფიქრი მაქვსო, მაშინ იგრძნობს ხოლმე სირცხვილს.

იმის უფლება არსებობს, რომ ადამიანს სიცოცხლე წაერთვას, მაგრამ იმ უფლებას-კი არა გააჩნდეს-რა, რომ ძალის-ძალათი აცხოვრონ და აცოცხლონ ადამიანი: ასეთი უფლება მეტად სასტიკი უფლება იქნებოდა.

სამეცნიერო ჭეშმარიტებასა და რწმენას შორის მთელი უფსკრულია, უსიდო, უგზო: პირველთან მისასვლელი გზა გონებაა, მეორესთან — სულის მოთხოვნილება.

სიმშილი კიდევ არ ამტკიცებს, რომ იმის დასაკმაყოფილებლად არსებობდეს საჭმელი; იგი მხოლოდ საჭმელს თხოულობს.

მორწმუნე კაცს ორი სარწმუნოებრივი თხზულება მივცეთ, ერთმანეთის წინააღმდეგი, და სწორედ ის მოსწონს, რომელიც სარწმუნოების მომხრისაგან არის ნაწერი, თუნდა მეორე უფრო უკეთ იყოს დაწერილი. რას ჰნიშნავს ეს? რასაკვირველია, იმასა ჰნიშნავს, რომ მორწმუნე მკითხველს ჰსურს, თხზულებაში გამოთქმული ჭეშმარიტება იმის გემოვნებისა იყოს.

არის კეთილშობილი სიღამაზე, რომელიც ერთბაშად-კი არა ჰხიბლავს და გონებას არ ართმევს ადამიანს, მხოლოდ ნელ-ნელა გვკლავს თავისს ბრჭყალებს, სიღამაზე, რომელიც ჩვენდა შეუმჩნევლად თან მიგვაქვს, რომ დრო გამოშვებით სიზმრად, ან ოცნებაში წინ დაგვიყენოთ ხოლმე და დაგვტკბეთ... ასეთი სიღამაზე ჯერ კარგა ხანს ოდნავ გაელვებს ჩვენს გულს და მერე სრულიად შეგვიპყრობს, ჩვენს თვალს ცრემლით ავსებს და გულს — სასიამოვნო მგერით.

## წვრილი ამბავი

ბრიუსელში დაარსდა კატების მოყვარეთა კლუბი. წევრებს ამ კლუბისას განზრახვა აქვთ, დრო გამოშვებით კატების გამოფენა გამართონ ხოლმე. პირველი გამოფენა კატებისა ოქტომბერში იქნება.

— ერთმა ასიარებულმა კაცმა ლონდონის საისტორიო-საბუნებისმეტყველო მუზეუმს კოლლექცია შესწირა ობობებისა. კოლლექციაში 10,000 სხვა-და-სხვა გვარი ობობაა.

— ვენის მახლობლად, ერთს სოფელში, სცხოვრობს ბეთხოვენთან მოსამსახურედ ნამყოფი მოხუცებული ქალი. ესლაც ეს ქალი ისევ იმ სახლშია მოსამსახურედ, სადაც ბეთხოვენს უცხოვრია და სადაც თავისი „მეცხრე სიმფონია" შეუთხზავს. დედაბერს ძლიერ კარგად ახსოვს ბეთხოვენი. „სახლში რომ სულელი არ იყოსო, ეუბნება ხოლმე ეს ქალი მომსვლელთ: ადვილად მიჰხვდებოდნენ, რომ არც ერთი ამ სურათთაგანი არა ჰგავს ბეთხოვენსაო. ის თავისს დღეში თმას არ ივარცხნიდა და გაწეწილი გარუჯულს, ველურს კაცსა ჰგავდაო".

— ერთს გამოჩენილს ექიმთან რომში მივიდა ვიღაც ახალგაზრდა კარგად ჩაცმული კაცი და შესჩივლა, მიშველე რამე, ერთის წლის ჯვარდაწერილი ვარ, ჩემს ცოლს კლეპტომანია სჭირს, მაღაზიებსა და სტუმრებში ყოფნის დროს სხვა-და-სხვა ნივთებს იპარავს, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ სინანული ერევა, ტირის და მე იძულებული ვარ ხოლმე, ნივთები პატრონებს ვუგზავნოვო. მკურნალმა უთხრა, ხვალ აქ მოიყვანე შენი ცოლი, აბა გავსინჯო, რას შევატყობო. მეორე დღეს ცოლ-ქმარნი. ქმარი და ექიმი ყურს უგდებდნენ, როცა ქალმა მოიპარა მშვენიერი ნაჭერი სურათისა, ბრილიანტებით შემკული. ამასთანავე ზოგი სხვა ძვირფასი ნივთიც აწაპნა. წასვლის დროსაც თვით მკურნალსაც ჯიბიდგან ოქროს საათი ამოაცალა მეწვრილმანად. „აბა ხომ ჰხედავთ ჩემს უბედურებასაო", უთხრა გულ-მწუხარედ ქმარმა მკურნალს: „მაგ ნივთებს შემდეგ გამოგიგზავნით და ხვალ-კი კვლავ

---

მმართველის მოსამსახურეებმა სუფრა გაშალეს საყდრის ეზოში და ზედ უხვად დააწყეს ხორცი, პური და კოკებით ღვინო დადგეს, კერძი იმდენი გააკეთეს, რამდენიც, გლახაკი იყო.

მმართველი ეკკლესიიდგან გამოვიდა და კარებთან შესდგა, გლახაკებმა ხმა გაკმინდეს.

— მე ძალიან მიხარიან, რომ გხედავთ ყველას, ვინც-კი შავ ბედისაგან დატანჯული ხართ. ძმებო! დასხედით, სვით და სჭამეთ, რამდენიც გნებავდეთ, ისადილეთ, და მერე კიდევ გამოვალ თქვენთან. ესა სთქვა და თავისს დარბაზში შევიდა.

გლახაკები შემოუსხდნენ გამზადებულს სუფრებს და დაიწყეს ჭამასმა. განცალკევებულს ადგილას იყო გაშლილი სუფრა, რომლის გარშემოც თორმეტი ბრმა იხდა. იმათ ემსახურებოდა ერთი თვალხილული კაცი, რომელიც მათ წინამძღოლად ითვლებოდა. იმან ბრმებს ხელში კოვზები მისცა, პურს უჭრიდა, წვენს უსხავდა, ჰიქით ღვინოს აწოდებდა და ერთის სიტყვით, დიდის თავ-გამოდებით უვლიდა.

როდესაც გლახაკები სადილს აათავებდნენ, გამოვიდა დარბაზიდგან მმართველი და სუფრები დაიარა. იმას უკან მოსდევდნენ მოსამსახურენი, რომლებსაც ხელში ფულით სავსე ყუთები და სხვა-და-სხვა ტანთ საცმელი ეჭირათ. მოსამსახურეები ფულსა და ტანთ-საცმელს გლახაკებს ურიგებდნენ. ბოლოს მივიდა მმართველი თორმეტს ბრმასთან. ბრმების წინამძღვარი აძაგძაგდა და გაყვითლდა, როცა მმართველს შეჰხედა.

მმართველი შესდგა და დაეკითხა:

— შენც გლახაკი ხარ?

— არა, დიდებულო, მე გლახაკი არა ვარ; მე გლახაკთა მსახური ვარ.

— ძალიან კარგი! რა გქვიან?

იმან თავი ძირს დაჰღუნა.

— ალექსი.

თვალებში შეხედა ანგელოსმა, გაიღიმა და უთხრა:

— ყოველი სიცრუე როდი ჩაითვლება სიცრუედ. უკან გამომყე.

მოსამსახურემ ბრმები დასტოვა და დარბაზში წაჰყვა მმართველსა. მიდიოდნენ ორნი და ყველას უკვირდა, რომ ერთმანეთს გვანდნენ ორივენი ძმასავით. ორივე მაღალი ტანისა იყო, ორივ შავ-თმიანი და ერთნაირის სახისა. მხოლოდ ბრმების წინამძღვარს თმაში ჭაღარა ჰქონდა გამორეული და პირისახე ქარმზისაგან გაშავებოდა. მმართველს-კი თეთრი და ბრწყინვალე სახე ჰქონდა.

მმართველმა ანგელოსმა ბრმათა წინამძღვარი დარბაზის შუაგულს ოთახში შეიყვანა და შეიკეტა კარი.

— მე შენ გიცანი, გიორგიო, უთხრა ანგელოსმა: და შენ-კი მიცანი, თუ არა?

— ვიცი, ბატონო, რომ ღმერთმა გამოგგზავნა ჩემს დასასჯელად. ვნანობ ჩემს მძიმე ცოდვებს და კვნესაოხვრითა და ცრემლით ვიგონებ ჩემს ცოდვით სავსე სიცოცხლესა, რომლის წყალობითაც ადამიანად წოდების ღირსიც არა ვარ. ვიცი, მეუფეო, რომ შევბილწე და შევაგინე ხატება ღვთისა, რომელიც მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, ვსტირი დღეს და ვნანობ ჩემს ცოდვებსა!... გიორგიმ ტირილი დაიწყო.

ანგელოსს სახე გაუნათლდა, და ზედ ციური ღიმილი დაეტყო. გიორგიმ აიღო მაღლა თავი, შეხედა ანგელოსს და დამშვიდდა: იმას არასოდეს არ ენახა ასეთი მადლით სავსე ღიმილი.

— შენს სასჯელს მოეღო ბოლოო, უთხრა ანგელოსმა: ჩაიცვი ტანთსაცმელი მმართველისა, აიღე კვერთხი და ხმალი შენი, მხოლოდ გახსოვდეს-კი, რისთვისაც დაისაჯე. იყავი ბრძენი მმართველი შენის ერისა და მისი ძმა ჭირსა და ლხინში.

— არა, მეუფეო ჩემო, მე შენს ბრძანებას ვერ ავასრულებ. არ ავიღებ არც კვერთხსა და არც ხმალს მმართველისას და ვერ ჩავიცვამ მისს ტანთ-საცმელს. ისე შემიყვარდა ჩემი ბრმა ძმები, რომ იმათ ვერ მოვშორდები: იმათი სინათლეც მე ვარ, საჭმელ-სასმელიც, მეგობარიც და ძმაც. გულით შემიყვარდნენ დავრდომილნი და გლახაკნი და მათთვის შრომა ძვირფასად მიმაჩნია. მომიტევე შენის ბრძანების უარყოფა, გამიშვი სოფლად საწყალს ღარიბს ხალხთან და მას შევსწირავ ჩემის სიცოცხლის უკანასკნელს წამებსა. დიდს ხანს ვიყავი ამაღლებული, მაგრამ ხალხის საჭიროება არ ვიცოდი, გული გაქვავებული და მათი სიყვარული გამქრალი მქონდა. მშვიდობით, წავალ ჩემს ძმებთან!

— კეთილს აზრს ამბობ, გიორგი, მიუგო ანგელოსმა: წადი, მშვიდობით.

წავიდა გიორგი ერთად და თორმეტი ბრმაც თან წაიყვანა. მთელი სიცოცხლე იმათს სამსახურს შესწირა და შრომობდა გლახაკებისა და ბედით დაჩაგრულების ცხოვრების განსაკარგებლად. გიორგიმ გლახაკების სამსახურში დალია სული.

ანგელოსმა სამის დღის შემდეგ დასტოვა მმართველის სხეული. დიდის ამბით დამარხეს მისი გვამი და ყველა ნაღვლობდა გიორგის სიკვდილსა, რადგან იგი წინად ამპარტავანი და სასტიკი იყო და ბოლოსკი მშვიდი და კეთილის-მყოფელი შეიქნა. ანგელოსი-კი უფლის წინაშე წარსდგა.

ილ. ფერაძე

მე და ჩემი ცოლი გიახლებითო“. წავიდნენ ცოლ-ქმარნი. მკურნალი ეხლაც უცდის, ჩემს ნივთებს როდის მომიტანენო, მაგრამ არსაით რა ხჩანს.

— გეტებორგში გაიმართა პირველი კერძო უნივერსიტეტი, რომლის შესანახავადაც სახელმწიფო ხაზინას ცალი ფული არ ეხარჯება. ამ უნივერსიტეტის დასაარსებლად 1878 წელს ორმა მდიდარმა ვაჭარმა ლუნდგრინმა და განგუსმა 600,000 კრონი შეაგროვეს, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ეგონათ, რომ ეს საქმე თავს მოვიდოდა. შემდეგ, 1885 წელს, ცნობილმა მეღუდემ დავით კამეჩიემ ნახევარ მილიონი კრონი გადასდო თავისი ამავე საგნისათვის, ხოლო 1887 წელს-კი უკვე გადასწყვიტეს უნივერსიტეტის დაარსება. შემოწირული ფული 1,750.000 კრონი შესდგა. ამ უნივერსიტეტში ბევრი გამოჩენილი პროფესორი მიიწვიეს უფსალისა და ლუნდის უნივერსიტეტებისა.

## დეპეშა

18 სექტემბერი

**ჩისტოპოლი.** აღკრძალულ იქმნა აქედგან ჰინახულისა დ კარტოფილის წაღება ყაზანის გუბერნიის საზღვრებს იქით; ფასებმა დაიწია.

**ბრიუსელი.** დღეს დილით გენერალმა ბულანჟემ ქალბატონ ბონმენის საფლავზე რევოლვერი დაიცა ყურში და თავი მოიკლა.

**პარიჟი.** გენერალ ბულანჟეს თავის მოკვლის ამბავი მართალი გამოდგა; სული მსწრაფლ დაულევია.

**ლონდონი.** გვატემალაში ამბოხება მოხდა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 სექტემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 56 | 7, 60 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 152 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221¾ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — „ | — „ | 211¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

გამოვიდა მთავრობის მიერ მოწონებული

### „ანბანი მშობლიო ენისა“

წერა-კითხვის შესასწავლად პირველ დაწყებითს სკოლებსა და ოჯახებში, შედგენილი ზ. გულისაშვილისაგან, მრავალის სურათებითა და ნახატისა და ნაწერის ნიმუშებით. ისყიდება ამხანაგობის წიგნის მაღაზიასა, გრიქუროვის მაღაზიაში, გორში არსენ კალანდაძესთან და ქუთაისში წერეთლების მაღაზიაში.

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაო საცნობელად აცხადებს, რომ 29-ს ამა სექტემბერისას, დილის 12 საათზედ, ვაჭრობა აქვს დანიშნული და იჯარით გასცემს შვიდს ნაჭერს ქალაქის მიწისას, რომელიც მდებარეობს ავჭალის ქუჩაზედ, რკინის გზის ლიანდაგს იქიდგან, თითო ნაჭერი ზომით 134-დგან 182 ოთხკუთხ საჟენამდე. ამას გარდა, იქვე, იმ ადგილებში ჰყიდის სამს ნაწილს ქალაქის მიწისას, ზომით 202 ოთხ-კუთხს საჟენს, 171,6 ოთხ-კუთხ საჟენსა და 189,3 ოთხ-კუთხ საჟენს.

ვაჭრობა იქვე ალაგობრივ მოხდება და მოვაჭრეთ, ანუ ვაჭრობის მსურველთ ვაჭრობის დაწყებისათანავე უნდა შემოიტანონ 10% პირველად აღნიშნულ სასყიდელ ფასისა, ანუ საიჯარადრო გარდასახადისა, ხოლო დანაშთენი გამოსასყიდი ფასი, ანუ ნახევარის წლის საიჯარადო გარდასახადი უნდა შემოიტანონ ერთის თვის განმავლობაში იმას შემდეგ, როცა გამოეცხადებათ მყიდველებსა და მოიჯარადარეებს, რომ ქალაქის საბჭომ მამული თქვენზედ დაამტკიცა.

(3—2)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბეითალი-მკურნალი ა. გ. მელქუმოვი, თავისს საკუთარს სახლში, პოლიციის მე-9 განყოფილებაში, რეუტოვისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, როგორც დიდებს, აგრეთვე ყმაწვილებსაც

**უსასყიდლოდ უცრის ყვავილს**

ყოველ დღე, დილის 7 საათიდგან 10 საათამდე. (3—2)

### „ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა დ ფაქსიმილეთი . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.
საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. „ 80 კ.
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . „ 30 კ.
იგივე მშვენიერის ყდით „ 80 კ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვ. ჰიუგოსი ფრანგულით თარგმ. თ. სახოკიას-მიერ . . . . „ 30 კ.
მაჭმადიანთ ლექსები, დამატებით ზ. ჭიჭინაძისა . . . . . „ 10 კ.
დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . . . . . „ 40 კ.
აქავე ისყიდება „სამი კომედია, აქ. ცაგარელისა „ 60 კ.
„თორნიკე ერისთავი“ აკაკისა . . . . 1 მ. „

### თამბაქოს ფაბრიკა

## ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

ვთხოვ ყურადღება მიაქციოს პატივცემულმა საზოგადოებამ ეს არის ეხლა მიღებულ ახალის სისტემის ამერიკულ მაშინებზედ საუკეთესო ფრანგულს ქაღალდზედ გაკეთებულს

გილზებს უწებოდ.

პაპიროსის მხმარებელთ შეუძლიანთ ყოველთვის იქონიონ ასეთის გილზით გაკეთებული პაპიროსი სხვა-და-სხვა ფასისა, რომელიც უკვე დიდ-ძალია მომზადებული გასასყიდად-

ეს არის ეხლა მივიღეთ საუკეთესო ღირსების ახალი

**ოსმალეთისა და ადგილობრივი თამბაქო**

სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს საჩქაროდ ვასრულებთ.

(10—117—3)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პაპოვისა, ვარანცოვის ნომრების პირდაპირ. (10—5)

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ

## მშური სიტყვა

დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;
ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;
გორში არსენ კალანდაძესთან;
თელავში ილია ზარაფოვთან;
სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.
ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—4)

გამოვიდა და ისყიდება

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში:

პირველი სამი ტომი

## ა. ყაზბეგისა

(ა. მოჩხუბარიძისა)

თხზულებისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი

ფასი ცალკე თითო ტომისა — — — — — 1 მ. 20 კ.
მშვენიერის ყდით საუკეთესო ქაღალდზე თითო ტომი — 2 მ. 50 კ.
ხოლო სამივე ტომი ერთად — — — — — 7 მ. „

ამ ტომებში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: ელგუჯა, ციკოლისო, მამის-მკვლელი, განკითხული, მოძღვარი და ციცია, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ აგენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერქომაიშვილი, ბათუმში—ბესარიონ კალანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მაღაზია), ოზურგეთში—კონსტ. თავართქილაძე და მამინაიშვილი (წიგნის მაღაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მაღაზია), დ. ზესტაფონში—იოს. კაკაბაძე, ძირულაში—ილია ქიქინაძე, ზუგდიდში—ანდრ. შაფათავა, საჩხერში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში არს. კალანდაძე (წიგნის მაღაზია), განჯაში—იაკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიაში—გოდერძიშვილი და სუფსაში—ნიკ. იოსელიანი. (0—5)